ბრძანება:**ბ47. 47230104**

თარიღი:**10/01/2023**

ბრძანება N6

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 5 იანვრის N2 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N5 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ცვლილება შევიდეს ,,ჟანა სიხარულიძის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 5 იანვრის N2 ბრძანებაში.

1.1. ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ჟანა სიხარულიძის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, საორგანიზაციო და საკადრო მომსახურების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

1.2. ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 მუხლი:

1^2. 2023 წლის 01 იანვრიდან ჟანა სიხარულიძე ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, საორგანიზაციო და საკადრო მომსახურების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დანიშნულ პროფესიულ საჯარო მოხელედ.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია 2023 წლის 01 იანვრიდან.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი